

## ვახტანგ გურული

### იმპერიების აღსასრული და ქართული სახელმწიფოებრიობა

(1917-1918)

#### 1. ნაპოლეონის იდეა

1813-1815 წლებში ევროპის ქვეყნების კოალიციასთან (რუსეთი, ინგლისი, პრუსია, ავსტრია) ბრძოლაში დამარცხებულ, გადასახლებაში მყოფ ნაპოლეონს ჰკითხეს: **„ნუთუ არ იცოდი, რომ რუსეთს ვერ დაიპყრობდი? პასუხი სრულიად მოულოდნელი იყო: მე რუსეთის დაპყრობა არც მიფიქრია, მინდოდა რუსეთი ევროპის ნაწილად მექცია, ამისათვის კი მისი სამხედრო დამარცხება იყო აუცილებელი.** ნაპოლეონის იდეა დამარცხებული პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის უბრალო თავისმართლება არ უნდა ყოფილიყო, ასეთი იდეა შეიძლება მართლაც ჰქონოდა ნაპოლეონს. ავსტრიისა და პრუსიის დამარცხების შემდეგ, ინგლისთან ომში ჩაბმულ ნაპოლეონს 1812 წელს, მართლაც არ უნდა ეოცნება რუსეთის დაპყრობაზე. ნაპოლეონს, როგორც დიდ პოლიტიკოსს, წინასწარ უნდა განეჭვრიტა მისთვის დამდუბველი პერსპექტივა – ომი ევროპის დიდი სახელმწიფოების კოალიციასთან. 1812 წლისათვის რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით დამარცხება (ახალ მობილიზაციამდე რუსეთის არმიის სწრაფი განადგურება), ცხადია, უფრო რეალური უნდა ყოფილიყო. როგორ ესახებოდა ნაპოლეონს კონკრეტულად ომში დამარცხებული რუსეთის ევროპის ნაწილად გადაქცევა – უცნობია, ეს საიდუმლო ნაპოლეონმა თან წაიღო სამარეში.

რუსეთის ევროპის ნაწილად გადაქცევის ნაპოლეონისეული იდეა გამარჯვებული კოალიციის მონაწილე ქვეყნების (რუსეთის, ინგლისის, ავსტრიის, პრუსიის) პოლიტიკურმა ლიდერებმა დავიწყებას არ მისცეს. ეს იდეა სულ მალე სხვა ფორმით გამოვლინდა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ **ვენაში** ევროპის ქვეყნების კონგრესი შეიკრიბა, რომელიც საკმაოდ დიდხანს 1814 წლის ნოემბრიდან 1815 წლის ივნისამდე მიმდინარეობდა. კონგრესის მუშაობას განსაზღვრავდა გამარჯვებული ოთხეული: რუსეთი, ინგლისი, პრუსია და ავსტრია. იდეა ისეთი საერთაშორისო სისტემის შექმნისა, რომელიც ევროპას დიდ ომებს თავიდან ააცილებდა, ევროპის მონარქებს, ევროპულ დიპლომატებს ეკუთვნოდა. ნაპოლეონის ომებმა ევროპელი მონარქები დაარწმუნა იმაში, რომ ასეთი სისტემის არსებობა აუცილებელი იყო. ისინი აღიარებდნენ, რომ სისტემის ეფექტურობა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებდა რუსეთი. ომების თავიდან აცილების მიზნით შექმნილი საერთაშორისო სისტემა ურუსეთოდ შეიძლება ეფექტური ყოფილიყო კონკრეტულად დასავლეთ ევროპაში ომების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ვერანაირად ვერ დაიცავდა დასავლეთ ევროპას რუსეთის აგრესიისაგან. დიდი დრო არ იყო გასული მას შემდეგ, რაც რუსეთმა გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების რეალიზება დაიწყო ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დასავლეთ ნაწილში, ბალკანეთსა და ბალტიისპირეთში. ამას შედეგად მოჰყვა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774, 1787-1791, 1806-1812 წლის ომები<sup>1</sup>, 1808-1809 წლების რუსეთ-შვედეთის ომი.<sup>2</sup> ამ ომებმა ევროპას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. სერიოზული საფრთხე შეუქმნა ევროპას რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გეგმების განხორციელებამ ცენტრალური ევროპის მიმართულებით. პოლონეთის მესამე დანაწილების (1795 წ.) შედეგად რუსეთმა

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: **Т. Юзефович.** Договоры России с Востоком. Политические и торговые. Санкт-Петербург, 1869.

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ.: **П. А. Ниве.** Русско-Шведская война 1808-09 гг. Санкт-Петербург, 1910; **А. А. Фомин.** Швеция в системе европейской политики накануне и в период русско-шведской войны 1808—1809 гг. Москва, 2003.

პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცა და ამ ტერიტორიაზე შექმნა პოლონეთის სამეფო.<sup>3</sup> პოლონეთის მეფედ რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა. 1808-1809 წლებში შვედეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის შემდეგ რუსეთმა დიდ ხნის წინ დაწყებული ფინეთის დაპყრობა დაასრულა. შვედეთისაგან მიტაცებულ ფინეთის ტერიტორიაზე შექმნილ ფინეთის დიდი სამთავროს მთავრად რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა. ბალკანეთიდან, სკანდინავიიდან და პოლონეთიდან რუსეთი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ევროპას და მნიშვნელობას უკარგავდა ომების თავიდან აცილების მიზნით ჩაფიქრებულ ევროპის საერთაშორისო სისტემას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით დროული და გამართლებული იყო ევროპელ პოლიტიკოსთა მიერ აღორძინებული რუსეთის ევროპის ნაწილად გადაქცევის ნაპოლეონისეული გეგმის ახალი ვარიანტი. 1815 წლის 21 აპრილი (3 მაისი) ვენის კონგრესის მონაწილე ქვეყნებმა: რუსეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, პრუსიამ, ავსტრიამ, შვედეთმა, ესპანეთმა და პორტუგალიამ ხელი მოაწერეს ვენის კონგრესის დასკვნით **გენერალურ აქტს**.<sup>4</sup> ვენის კონგრესის გენერალური აქტი იყო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელმაც პრაქტიკულად გადაჭრა ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ევროპის მონარქებს შორის უთანხმოება შეიძლებოდა გამოეწვია. გენერალური აქტის პირობების შესრულების შემთხვევაში ევროპის ქვეყნები დაზღვეული იქნებოდნენ დამღუპველი ომებისაგან.

ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემა უმტკივნეულოდ არ ჩამოყალიბებულა. დაძაბულობას მხოლოდ რუსეთი არ ქმნიდა, წინააღმდეგობა თვით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორისაც არსებობდა. მიუხედავად ამისა, ევროპა თანხმდებოდა უმთავრესში – **რუსეთი ევროპის ნაწილად უნდა ქცეულიყო**. მიმდინარეობდა ფარული დიპლომატიური ბრძოლა, ამ ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი ნათელს ხდის მის შინაარსს. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის დროს (1813-1815 წწ.) ევროპაში შეჭრილი რუსეთის არმია რუსეთშივე დაებრუნებინათ. იმხანად ეს არმია პოლონეთის ტერიტორიაზე იდგა. ევროპელმა პოლიტიკოსებმა ეს რთული საქმე ახალგაზრდა დიპლომატს **კლემენს ვენცელ ფონ მეტერნიხს** მიანდეს. გაიხსნა თუ არა სხდომა, მეტერნიხმა პირდაპირ დასვა კითხვა: **ჩვენ გვინდა ვიცოდეთ რა უფლებით დგას რუსეთის 120 ათასიანი არმია პოლონეთში?** რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა აუღელვებლად უპასუხა: **გამარჯვებულის უფლებით**. მეტერნიხი ასეთ პირდაპირ და სწრაფ პასუხს არ მოელოდა, დაბნეულმა მზერა მიაპყრო კონგრესის იმ მონაწილეებს, რომელთაც მას ევროპიდან რუსეთის არმიის გაყვანის საკითხის დასმა მიანდეს. მეტერნიხის თანამოაზრეებმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოს არაფრის საქმის კურსში არ იყვნენ და დასმული საკითხი არც აინტერესებდათ. მეტერნიხი მიხვდა, რომ გასწირეს, მაგრამ ჭკვიანმა დიპლომატმა აზრი მოიკრიფა, მიაბიტი სახე მიიღო და აუღელვებლად წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: **„გადავიდეთ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე“**. მიუხედავად ასეთი დაძაბულობისა, ვენის კონგრესის გენერალური აქტი მაინც სერიოზული წარმატების მაუწყებელი იყო. ასე თუ ისე, წარმოშობილი წინააღმდეგობების მიუხედავად, ვენის სისტემამ ასი წლის მანძილზე ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება შესძლო.

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ.: **С. М. Соловьёв**. История падения Польши. Москва, 1863.

<sup>4</sup> სრული ტექსტი იხ.: **Ф.Ф. Мартенс**. Собрание трактатов и конвенций, заключенных Россией с иностранными державами. Том 3. Санкт-Петербург, 1876. С. 229–549.

## 2. ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის რღვევა.

1914 წლის ივნის-ივლისში ვეროპაში მიმდინარე დიდი სამხედრო-პოლიტიკური კრიზისითა და პირველი მსოფლიო ომის დაწყებით ვენის კონგრესზე შექმნილმა საერთაშორისო სისტემამ არსებობა დაასრულა.<sup>5</sup>

დე-ფაქტო ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის რღვევა 1914 წლამდე გაცილებით ადრე დაიწყო. 1879-1882 წლებში გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის (სამთა კავშირის) ჩამოყალიბება უკვე ამ სისტემის რღვევას ნიშნავდა. რღვევის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა 1891-1893 წლებში რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნით<sup>6</sup>. სისტემის შენარჩუნება არარეალური გახდა 1904-1907 წლებში ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის (ანტანტის) შექმნით. რუსეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის მონარქებმა ნიკოლოზ II-მ, ედუარდ VII-მ, ჯორჯ V-მ, ვილჰელმ II-მ, ფრანც-იოსებ II-მ, ვიქტორ-ემანუელ III-მ ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ ერთიანი ვეროპა. სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში გაერთიანებით ვეროპის მეფეებმა განაჩენი გამოუტანეს მონარქიებს. პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის მონარქიები იმსხვერპლა. ომს ვეროპის მონარქიებიდან მხოლოდ ერთი, ინგლისის მონარქია (კონსტიტუციური მონარქია), გადაურჩა. მონარქიების დამხობა განაპირობა არა პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918), არამედ ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის დაშლამ. პირველი მსოფლიო ომი სწორედ ამ სისტემის დაშლის შედეგი იყო. ერთიანი ვეროპის ნაპოლეონისეული იდეის უარყოფამ ვეროპის მონარქები უაზრო და დამღუპველ დაპირისპირებამდე, ომამდე მიიყვანა<sup>7</sup>.

გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირველი მსოფლიო ომი (1914-1918) გარადუვალი იყო, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. არც ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის რღვევა, არც ვეროპაში სამხედრო პოლიტიკური ბლოკების შექმნა და არც პირველი მსოფლიო ომი გარდაუვალი არ ყოფილა. გარდაუვალობის წარმოდგენა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ეპოქაში, მას შემდეგ რაც ვეროპამ და მსოფლიომ უდიდესი კატასტროფა გადაიტანა. თუ მოვლენათა განვითარებას ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლით, ჩვენ მიერ ზემოთხსენებული სამი მოვლენა (ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის რღვევა, ვეროპაში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა და პირველი მსოფლიო ომი) სულაც არ იყო გარდაუვალი. ვეროპის მონარქები: ნიკოლოზ II, ედუარდ VII, ჯორჯ V, ვილჰელმ II, ფრანც-იოსებ II და ვიქტორ-ემანუელ III წინ ვერ აღუდგნენ არა კანონზომიერ, არამედ გარკვეული ძალის მიერ პროვოცირებულ პროცესს – ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის ნგრევასა და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნას. მონარქებმა ვეროპაში მშვიდობის დაცვისათვის შექმნილი სისტემა, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების იდეაზე გაცვალეს. რა კანონზომიერება შეიძლებოდა ყოფილიყო ამის საფუძველი? ცხადია, არავითარი. ვეროპის მონარქებმა დაუშვეს მიუტევებელი შეცდომა. ყველა მონარქი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ომი მისი იმპერიის სასარგებლოდ დასრულდებოდა და ერთი წუთითაც არ უშვებდნენ იმას, რომ ვიღაც ომში აუცილებლად დამარცხდებოდა და ეს ვიღაც შეიძლება ნებისმიერი მონარქი და სახელმწიფო ყოფილიყო. მოკლედ, რომ ვთქვათ მონარქებმა უკვე არსებული საერთაშორისო სისტემა გაცვალეს რაღაც ბუნდოვანში, რომლის არსშიც ისინი ვერ ერკვეოდნენ. ვეროპის ვერც ერთმა მონარქმა, ვერ შენიშნა ის საფრთხე, რომელიც ვენის კონგრესის მიერ შექმნილ საერთაშორისო სისტემის რღვევას მოჰყვებოდა. არცერთ მონარქს არ უცდია გაეცა პასუხი კითხვაზე: ვინ და რატომ დაიწყო ფარული თუ აშკარა ბრძოლა არსებული

<sup>5</sup> Ю. А. Писарев. Великие державы и Балканы накануне первой мировой войны. Москва, 1985; Л. Г. Бэзил. 1914. Правда о Первой мировой. Москва, 2009.

<sup>6</sup> დაწვრილებით იხ.: Н. Троицкий. Русско-французский союз. – Россия в XIX веке. Курс лекций. Москва, 1997.

<sup>7</sup> დაწვრილებით იხ.: История первой мировой войны 1914-1918 гг. Под редакцией И.И. Ростунова Москва, 1975.

საერთაშორისო სისტემის რღვევისათვის? ცხადია, გარკვეული პერიოდის შემდეგ ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის შენარჩუნების შანსი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. რღვევის პროცესის შეჩერება ენერგიული და კარგად გააზრებული ღონისძიებების შედეგად XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, მაგრამ ამის ნაცვლად ყველა მონარქი ხელს უწყობდა სისტემის რღვევის გაძლიერებას. 1907 წლისათვის ევროპაში ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის (ანტანტის, სამთა კავშირის) ჩამოყალიბებით ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის გადარჩენის შანსები მინიმუმამდე დავიდა, თუმცა იგი საბოლოოდ არ გამქრალა. 1907-1914 წლებში ევროპის მონარქების გონივრულ პოლიტიკას, უშუალოდ სამეფო სახლების აქტიუობას ჯერ კიდევ შეეძლო ევროპის გადარჩენა. სამწუხაროდ 1907-1914 წლებში, რღვევის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. მონარქებმა საბოლოოდ დაივიწყეს პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ღმერთის წინაშე. მცდარი პოლიტიკური აზროვნებითა და შესაბამისი პრაქტიკული მოღვაწეობით ევროპის მონარქებმა თავად გამოუტანეს განაჩენი სამეფო სახლებსა და იმპერიებს.

როგორ მოხდა ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის ნგრევა, ვინ იყო ამ სისტემის ნგრევის იდეის ავტორი და პრაქტიკული განმახორციელებელი? შეიძლება დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ჭეშმარიტება ასეთია: **ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემა ინგლისის ინიციატივით, ინგლისის გეგმით დაინგრა, ინგლისის მოკავშირის როლი კი საფრანგეთმა შეასრულა.** სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: რა ამოდრავებდა ინგლისს? ვენის კონგრესის მიერ შექმნილი საერთაშორისო სისტემის არსებობა ინგლისს ხელს უშლიდა ევროპაში ლიდერის როლის შესრულებაში. სისტემის ნგრევა, მონარქიების დამსობა ამ პროცესიდან განზე მდგომ ინგლისს ომებისაგან დასუსტებულ ახალ ევროპაში გაბატონების კარგ პერსპექტივას უქმნიდა. მონარქიების ნგრევა, ახალ, რესპუბლიკურ, მმართველობაზე გადასვლა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იქნებოდა რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიისათვის. საუკუნეების განმავლობაში დახვეწილი პოლიტიკური სისტემა – კონსტიტუციური მონარქია, დიდი ტრადიციების მქონე პარლამენტი და მთავრობა, ბრწყინვალე დიპლომატიური სკოლა და ბოლოს ძლიერი სამხედრო-სახლგაო ფლოტი და არმია ინგლისს არა თუ დაიცავდა ევროპაში დაწეხული დიდი რყევებისაგან, არამედ ევროპაში განვითარებული პროცესების მართვის საშუალებასაც მისცემდა. ინგლისელი პოლიტიკოსების, ინგლისის დიპლომატიის გათვლა სავსებით რეალისტური იყო, თუმცა დაშვებული იქნა ერთი სერიოზული შეცდომა. ინგლისელებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ევროპაში ინგლისის მიერ ლიდერის როლის შესრულებას წინააღმდეგობას გაუწევდა ამერიკის შეერთებული შტატები. პირველი მსოფლიო ომის დასასრულს და ომის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით კი პარიზის საზოგადოებრივ კონფერენციაზე (1919 წლის იანვარი – 1920 წლის იანვარი) ინგლისმა ევროპაში ლიდერის პოზიციები შეინარჩუნა, ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობა მარცხით დასრულდა. სულ მალე ცხადი გახდა, რომ განცდილ მარცხს ამერიკის შეერთებული შტატები არ შეურიგდებოდა და ევროპაში ჰეგემონისთვის ბრძოლას გააგრძელებდა.

### 3. რუსეთის მონარქიის აღსასრული

საქართველო ვენის კონგრესზე საერთაშორისო სისტემის შექმნის დროისათვის (1815 წ.) უკვე რუსეთის მიერ იყო დაპყრობელი. ცხადია, ამ სისტემის არსებობასა და ნგრევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის.

რუსეთის იმპერიის ნგრევა, ინგლის-საფრანგეთის გეგმის თანახმად, XX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგისათვის ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო და დიპლომატიურ დახვეწვას სერიოზული პოზიციები ჰქონდათ

მოპოვებული რუსეთის საიმპერატორო კარზე, სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში, საერთოდ პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში. განუსრულად იზრდებოდა რუსეთის საგარეო ვალი. რუსეთის მთავარი კრედიტორები ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ. რუსეთი პრაქტიკულად ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ვერასდროს გადაიხდიდა უზარმაზარ ვალს. უფრო მეტიც, თუ ინგლისი და საფრანგეთი რუსეთში არსებულ ერთობლივ საწარმოებს დახურავდნენ, ხოლო, თუნდაც დროებით, რუსეთიდან ნავთობის, მანგანუმის, ხე-ტყის, ხორბლისა და სხვა წიაღისეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს შეწყვეტდნენ, რუსეთში ყოვლისმომცველი ეკონომიკური კრიზისი დაიწყებოდა. ასეთი ვითარების გამო რუსეთის ხელისუფლება ინგლისისა და საფრანგეთის მიმართ სულ უფრო და უფრო მეტ დათმობებზე მიდიოდა. დათმობები ეხებოდა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას.

საგარეო პოლიტიკაში რუსეთის საიმპერატორო კარის დათმობები გამოიხატა იმაში, რომ დაიძაბა ურთიერთობა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მონარქებთან. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიური და სამხედრო დახვედრის ფარული, მაგრამ დაძაბული ბრძოლა მალე სერიოზული გამარჯვებით დასრულდა – 1904 წელს რუსეთი იაპონიასთან სრულიად უაზრო და დამღუპველ ომში ჩაება. რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905) იმის მაწიყებელი იყო, რომ რუსეთს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა აღარ გააჩნდა. ამ ომით პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა მონარქიის ნგრევის გზაზე.

საშინაო პოლიტიკაზე ინგლისისა და საფრანგეთის გავლენა გამოიხატა იმაში, რომ ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიურმა და სამხედრო დახვედრამ, საიმპერატორო კარზე, პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში გავლენის აგენტების წყალობით ჩაშალეს ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმა – პოლიტიკური სისტემის, საეკლესიო, აგრარული, სამხედრო და სხვა რეფორმები. რეფორმების ჩაშლას მოჰყვა ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწეების, ქვეყნის პატრიოტების განდევნა სხვადასხვა უწყებიდან, თვით იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გარემოცვიდანაც კი. სწორედ ინგლისისა და საფრანგეთის დახვედრის წყალობით ჩამოაცილეს ხელისუფლებას ნიჭიერი და პერსპექტიული პოლიტიკური მოღვაწე **იული ვიტე**, ხოლო **პეტრე სტოლიპინი მოკლეს**.

ინგლისი და საფრანგეთი მოქმედებდნენ ძალზე კარგად გააზრებული გეგმით. ეს გეგმა ითვალისწინებდა რუსეთში სოციალური დაძაბულობის შექმნას. ინგლისისა და საფრანგეთის დახვედრამ რუსეთის სოციალისტური ორიენტაციის პარტიებში (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) შეადწია და ფინანსური დახმარების სანაცვლოდ ამ პარტიებს, როგორც მესხეთე კოლონას, ევექტურად იყენებდა 12-15 წლის განმავლობაში. მესხეთე კოლონის როლი არ შეუსრულებია, მაგრამ ინგლისი და საფრანგეთი რუსეთის მონარქიის ნგრევის პროცესში ასევე ევექტურად იყენებდა რუსეთის ბურჟუაზიის მიერ შექმნილ პარტიებს – „**17 ოქტომბრის კავშირსა**“ (ოქტიაბრისტებს) და **რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას (კადეტებს)**.

დამღუპველი საშინაო პოლიტიკა (გადაუდებელ რეორმებზე უარის თქმა, მოახლოებული სოციალური აფეთქების საშიშროების უგულვებლყოფა და სხვ.) რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს 1905-1907 წლების რევოლუციად დაუჯდა. რევოლუცია რუსეთში ყველა შემთხვევაში დაიწყებოდა, მაგრამ 1905 წლის 9 იანვარს სანკტ-პეტერბურგში მშვიდობიანი დემონსტრანტების დახვედრამ რევოლუციის დაწყება დააჩქარა. თუ რამდენად უუნარო იყო საიმპერატორო კარი, ეს კარგად გამოჩნდა იქედან, რომ იმპერატორი ნიკოლოზ II დემონსტრანტების დახვედრის წინ გარემოცვამ დედაქალაქიდან გაისტუმრა და მან არაფერი უწყოდა როგორ მომზადდა და განხორციელდა ეს საშინელი ტრაგედია. მშვიდობიანი დემონსტრანტების დახვედრის პროვოცირება მოახდინა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთმა ჯგუფმა, რომელიც, ცხადია, უცხოეთიდან იმართებოდა. როგორი უმეცარიც არ უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერატორი, მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, თუ რა მოყვებოდა დედაქალაქის ცენტრში მშვიდობიანი დემონსტრანტების დახვედრას. რევოლუცია დაიწყო ისე, რომ ბრალი დაედო მონარქს, ხელისუფლებას და არა პროვოკაციის დამკვეთს, პროვოკატორებსა და პროვოცირებულ

ბრბოს. 9 იანვრის სისხლიანი ღაქა ვერასდროს ჩამოირეცხა რუსეთის მონარქმა. დამანგრეველმა სამოქალაქო ომმა, რომელიც 1905 წლის იანვრიდან 1907 წლის შუა ხანებამდე გაგრძელდა იაპონიასთან ომში დამარცხებული რუსეთი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. მოიშალა ქვეყნის ეკონომიკა, ჩაკვდა წარმოება, ომისაგან დაცლილი ხაზინა კიდევ უფრო დაცარიელდა, ხოლო რუსეთის საგარეო ვალები გაიზარდა. მთავარი კრედიტორები, ცხადია, ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ. 1905-1907 წლების რევოლუციის შედეგი ასეთი იყო: **რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მთლიანად ინგლისისა და საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა. უზარმაზარი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა უცხოურ (ინგლისურ, ფრანგულ) კაპიტალზე იყო დამოკიდებული.**

გამოთქმულია აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთის მონარქია გადარჩებოდა პირველ მსოფლიო ომში რომ არ ჩაბმულიყო. ეს მოსაზრება საკვებით სწორია, ოღონდ ერთი სერიოზული შენიშვნით: 1914 წელს რუსეთს აღარ შეეძლო უარი ეთქვა ომში ჩაბმაზე, ის ომში აუცილებლად უნდა ჩაბმულიყო. რუსეთი 1914 წლის აგვისტომდე მიიყვანა 12-15 წლიანმა გაუახრებელმა და დამლუპველმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ. რუსეთის მონარქიის (ისევე როგორც გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მონარქიების) დაცემის უმთავრესი მიზეზი იყო ამ ქვეყნების მონარქების მიერ 1815 წელს ვენის კონგრესზე შექმნილი საერთაშორისო სისტემის პრინციპების შეგნებული უარყოფა. გარდა ამისა, ყველა მონარქიის, მათ შორის რუსეთის მონარქიის კვდომასაც თავისი კონკრეტული მიზეზებიც ჰქონდა.

გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის წინა დღეებში, 1914 წლის ივლისის მიწურულს, რეალისტურად მოაზროვნე პატრიოტულმა ძალებმა სცადეს ნიკოლოზ II-ის დარწმუნება იმაში, რომ გერმანიის წინააღმდეგ ომი რუსეთისათვის დამლუპველი აღმოჩნდებოდა. ამ საშიშროების დანახვას დიდი ნიჭი და შორსმჭვრეტელობა სულაც არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ნიკოლოზ II-მ თავი შეიკავა გერმანიისათვის ომის გამოცხადებაზე (სერბეთის დაცვის მიზნით საყოველთაო მობილიზაციაზე). რუსეთის ისტორიაში საბედისწერო უამი დადგა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უნარიანად ამოქმედდა ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიური და სამხედრო დახვეწვა. ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის აგენტებმა ნიკოლოზ II-ის მერყეობას ბოლო მოუღეს. იმპერატორმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა, რაც პრაქტიკულად გერმანიის წინააღმდეგ ომის დაწყებას ნიშნავდა. ინგლისმა და საფრანგეთმა ბოლომდე მიიყვანეს 12-15 წლის წინ დაწყებული საქმე – რუსეთი სამთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია) წინააღმდეგ ომში ჩააბეს. განსახორციელებელი დარჩა ინგლის-საფრანგეთის გეგმის მეორე და მთავარი ნაწილი – რუსეთში მონარქიული წყობილების დამხობა. ამისათვის დიდი ძალისხმევა საჭირო აღარ იყო. ომი მონარქიას თავისთავად მიაქანებდა დაღუპვისაკენ. ჯერჯერობით ინგლისი და საფრანგეთი მოვლენათა განვითარებას არ აჩქარებდნენ, რადგან რუსეთი ერთგულად ასრულებდა მოკავშირის მოვალეობას. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიური და სამხედრო დახვეწვა მხოლოდ მას შემდეგ გააქტიურდა, რაც რუსეთის საიმპერატორო კარზე, პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში, ომში გამარჯვებაში დაეჭვდნენ. გაგრძელდა ხმები გერმანიასთან მოსალოდნელი დაზავების შესახებ, რასაც ინგლისი და საფრანგეთი ვერასჯერ ვერ დაუშვებდნენ. ლონდონსა და პარიზში რუსეთის მონარქიის დამხობის გადაწყვეტილება მიიღეს და შემუშავებული გეგმაც ბრწყინვალედ განახორციელეს. 1917 წლის თებერვალში პეტროგრადში დაწყებული გამოსვლების მიუხედავად, რუსეთის იმპერატორი ქალაქ ფსკოვში, უმადლესი მთავარსარდლობის ბანაკში, გაემგზავრა. ინგლისისა და საფრანგეთის გეგმის თანახმად, ფსკოვში ნიკოლოზ II სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა პატრიოტულად განწყობილი და რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკური და სამხედრო ელიტისაგან. ფსკოვში რუსეთის უკანასკნელი მონარქი ინგლისისა და საფრანგეთის მიერ მოსყიდული სამხედრო ელიტის გარემოცვაში იმყოფებოდა. მოღალატე სამხედროებს მალე შეუერთდნენ პეტროგრადიდან ფსკოვში საგანგებოდ ჩასული ინგლისისა და საფრანგეთის მიერ მოსყიდული პოლიტიკური მოღვაწეებიც. მათ ნიკოლოზ II დაარწმუნეს, რომ მხოლოდ შვილის, ალექსის სასარგებლოდ მისი ტახტიდან გადადგომა იხსნიდა რუსეთის მონარქიას. ნიკოლოზ II ტახტიდან ისე გადადგა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა რა ხდებოდა უზარმაზარ იმპერიასა და არმიაში, არც

ის იცოდა, რომ უფლისწულ ალექსის ტახტზე ასვლა გამორიცხული იყო. 1917 წლის 2 მარტს ფსკოვში ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ტახტიდან გადაგომის შესახებ. ინგლის-საფრანგეთის გეგმა განხორციელდა. საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრე გახდა ინგლის-საფრანგეთზე ორიენტირებული რუსეთის დროებითი მთავრობა, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ ომის გაგრძელებას უპირობოდ დათანხმდა.

ინგლის-საფრანგეთის გეგმა მთლიანად შესრულდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ასე არ ყოფილა. 1917 წლის 2 მარტს ტახტიდან გადამდგარი ნიკოლოზ II პეტროგრადში დაბრუნდა და დროებითი მთავრობის საპატიო პატიმრად იქცა. 1917 წლის ოქტომბერში საპატიო პატიმარი უკვე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაიბარა. თუ რუსეთის დროებითი მთავრობის დროს ნიკოლოზ II-ის ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხე შედარებით ნაკლები იყო, ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ეს საფრთხე რეალური გახდა. ინგლისს შეეძლო რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობის პერიოდში (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები რუსეთიდან გაეყვანა და საფრთხისათვის განერიდებინა. რუსეთიდან ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების გაყვანა ინგლისს ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგაც შეეძლო. მიუხედავად ამისა, თითქმის წელიწადნახევრის მანძილზე ინგლისმა არაფერი იღონა ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის გადასარჩენად. 1918 წლის 17 ივლისს ყოფილი იმპერატორი და მისი ოჯახის წევრები (დედოფალი და შვილები) დახვრიტეს<sup>8</sup>.

რუსეთში განვითარებულ მოვლენებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, რუსეთის მონარქიის ასეთ სწრაფ აღსასრულს არავინ ელოდა.

#### 4. საქართველო რუსეთის იმპერიის აღსასრულის შემდეგ

რუსეთის იმპერიის აღსასრულმა ხელსაყრელი პირობები შექმნა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. სახელმწიფოებრიობის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ორი მოვლენის თანხვედრის შემთხვევაში: **პირველი**. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის გარშემო ქართველი ერის კონსოლიდაცია; **მეორე**. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შექმნა – ძლიერი მოკავშირის პოვნა.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის ირგვლივ ქართველი ერის კონსოლიდაცია ნელა, მტკივნეულად, მაგრამ მაინც აღმავლობით მიმდინარეობდა 1917 წლის მარტიდან. რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, ძლიერი მოკავშირის პოვნას, ამ თვალსაზრისით მოვლენები საქართველოს საზიანოდ ვითარდებოდა. ეს გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

**პირველი**. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოსული დროებითი მთავრობა (1917 წლის 3 მარტი – 1917 წლის 25 ოქტომბერი) ერთგულად ასრულებდა რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ანტანტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. ინგლისი, საფრანგეთი იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი

<sup>8</sup> **А. Н. Боханов.** Николай II. Москва, 2008; **Ю. А. Буранов; В. М. Хрусталёв.** Гибель императорского дома. Москва, 1992; **М. К. Дитерихс.** Убийство царской семьи и членов дома Романовых на Урале. Москва, 2007.

ომს აგრძელებდნენ. ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ ანტანტა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას მხარს არ დაუჭერდა – მოკავშირის ინტერესებს არ ხელყოფდა.

**მეორე.** გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული სამთა კავშირზე ორიენტაციაც. შეიძლება გერმანიას მხარი დაეჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ საქართველო-გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობას ოსმალეთი შეაფერხებდა. ოსმალეთს თავისი ინტერესები გააჩნდა სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ცხადია, ომი ხელსაყრელი დრო იყო იმისათვის რომ ოსმალეთის ეს ინტერესები რეალობად ექცია. ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე იყო და, ცხადია, გერმანია ვალდებული იყო პატივი ეცა მოკავშირის ინტერესებისათვის.

**მესამე.** 1917 წლის 24-25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საგარეო პოლიტიკური კურსი კარდინალურად შეცვალა და პროგერმანულ ორიენტაციას დაადგა. პროგერმანული ორიენტაცია გულისხმობდა საბჭოთა რუსეთის ომიდან გამოსვლას, რაც სრულიად მიუღებელი იყო ანტანტისათვის. ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ზეწოლის მიუხედავად გაჭიანურებული მოლაპარაკებების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა გერმანიისთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგერეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში სეპარატიული ზავი დადო. რუსეთი ომიდან გამოვიდა, რაც დიდ დარტყმას წარმოადგენდა ანტანტისათვის. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგ ანტანტას და კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთს მხარი უნდა დაეჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისათვის, ანუ სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის განდევნისათვის უნდა ეზრუნა. თუმცა სახრეთ კავკასიიდან რუსეთის განდევნა მთლიანად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა ვითარება იქნებოდა პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე.

**მეოთხე.** პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან (1914 წ.) სამხრეთ კავკასიაში, რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე, განლაგებული იყო რუსეთის არმია. ამ არმიამ 1914-1915 წლებში წარმატებით ადკვეთა ოსმალეთის მიერ სამხრეთ კავკასიის ოკუპაციის მცდელობა და 1917 წლის გაზაფხულისათვის კვლავ უნარიანად იცავდა ფრონტის ხაზს. რუსეთის არმიის გასვლა სამხრეთ კავკასიიდან ხელ-ფეხს გაუსწინდა ქართველ ერს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაც რეალური გახდებოდა. ამასთან ერთად, რუსეთის არმიის გასვლა სამხრეთ კავკასიიდან დიდ საფრთხესაც შეიცავდა. რუსეთის არმიის გასვლით დაუყოვნებლივ ისარგებლებდა ოსმალეთი და შეეცდებოდა საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის დაპყრობას. საქართველოს თავისი საზღვრების დასაცავად აუცილებელი შეიარაღებული ძალა (არმია) არ გააჩნდა.

**მეხუთე.** სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის გზაზე ყველაზე დიდ სირთულეს მაინც ის წარმოადგენდა, რომ რუსეთის იმპერიის აღსასრულის (1917 წლის მარტი) შემდეგ პირველი მსოფლიო ომი კვლავ გრძელდებოდა. 1917 წლის გაზაფხულისათვის არავინ იცოდა როგორ წარიმართებოდა ომი. მიმდინარე ომის პირობებში ძლიერი მოკავშირის ძებნა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, მოკავშირის გარეშე კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოუდგენელი იყო. არც ის იქნებოდა გამართლებული, რომ ქართველი პოლიტიკოსები ომის დამთავრებას დაელოდებოდნენ. 1917 წლის გაზაფხულისათვის და მოგვიანებითაც ვერავინ იტყოდა როგორ დასრულდებოდა ომი, როგორ მორიგდებოდნენ გამარჯვებული და დამარცხებული სახელმწიფოები. მოკავშირის პოვნის ანუ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი მწვავედ იდგა საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე (1917 წლის აპრილი), საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში (1917 წლის აგვისტო-ნოემბერი), საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე (გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს) და ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულ საქართველოს ეროვნულ საბჭოში. **პროდასავლური ორიენტაციის აღიარებას აფერხებდა**



რუსეთის კავკასიის არმია, რომელიც ქართული არმიის არარსებობის პირობებში ოსმალეთის არმიის შემაკავებელ ერთ-ერთ ძალას წარმოადგენდა. თავდაპირველად, დროებითი მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში (1917 წლის 3 მარტი – 25 ოქტომბერი), ასე თუ ისე მისაღები პრორუსული ორიენტაცია სრულიად მიუღებელი გახდა რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ (1917 წლის 25 ოქტომბერი).

მოკავშირის ძიების პროცესში, პროდასავლური და პრორუსული ძალების მწვავე დაპირისპირების პირობებში, სრულიად მოულოდნელად 1917 წლის 8 დეკემბერს ცხადი გახდა, რომ ანტანტა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები) საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მხარს არ დაუჭერდა. ვითარება კიდევ უფრო დაძაბა 1918 წლის იანვარში საბჭოთა რუსეთის მიერ კავკასიის არმიის ძალებით საქართველოს ოკუპაციის მცდელობამ. მდგომარეობა კატასტროფული გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის მარტში ოსმალეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო. 1918 წლის 1 აპრილს ოსმალებმა დაიკავეს ბათუმი, მტრის შეჩერება შექმნის პროცესში მყოფმა ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო. იმავდროულად ოსმალებმა დაიკავეს მთელი მესხეთი ბორჯომამდე. თუ ოსმალეთი ბრძოლაში დამატებით ჯარებს ჩააბამდა, ქართული ჯარი და სახალხო გვარდია ქუთაისსა და თბილისს ვერ დაიცავდა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაც გარკვეული ვადით შეფერხდებოდა.

შექმნილ ვითარებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა კი არა, არამედ რომელიმე სახელმწიფოს დახმარებით ოსმალეთის აგრესიის აღკვეთა იყო გადაუდებელი. ამიერკავკასია-ოსმალეთის ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე (გაიხსნა 1918 წლის 11 მაისს) გაირკვა, რომ ოსმალეთი მთელი სამხრეთ კავკასიისა და მათ შორის საქართველოს ოკუპაციას გეგმავდა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა ოსმალეთის დელეგაციას. ამის მიზეზი იყო ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოში შემავალი სამი ერის განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. აზერბაიჯანელები ოსმალეთს დამპყრობლად არ მიიჩნევდნენ, სომხები ინგლისის იმედად იყვნენ, ქართველებს ჯერ კიდევ არ შეეშუშავენინათ საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. ასეთ ვითარებაში, ბათუმის საზაო კონფერენციაზე, გერმანიის იმპერიის წარმომადგენელმა გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს შემდეგი რჩევა მისცა: გერმანიას შეუძლია თურქეთის აგრესიის შეჩერება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს მთავრობის შესაბამისი თხოვნის გაგზავნა ბერლინში. არც სომხები და არც აზერბაიჯანელები გერმანიის მთავრობისათვის თხოვნით მიმართვას არ აპირებდნენ. შექმნილ ვითარებაში ოტო ფონ ლოსოვი ერთადერთ გზას ხედავდა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფო უნდა დაშლილიყო, საქართველოს უნდა გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ოსმალეთის აგრესიისაგან დაცვის მიზნით თხოვნით მიემართა გერმანიის მთავრობისათვის. ამ შემთხვევაში ოტო ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელს გერმანიის მთავრობის წინაშე შუამდგომლობას პირდებოდა.

ცხადია, გენერალ ოტო ფონ ლოსოვის პოზიცია წინასწარ იყო შეთანხმებული ბერლინთან. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელი დიპლომატი ასეთი კონკრეტული გეგმის წამოყენებისაგან თავს შეიკავებდა და უფრო ზოგადი და ბუნდოვანი დაპირებებით შემოიფარგლებოდა. სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობეს გერმანიის მთავრობის პოლიტიკური კურსი? ერთი შეხედვით გერმანიას არ უნდა გადაეღვა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მის მოკავშირე ოსმალეთს გაანაწყენებდა. თუ საკითხს ღრმად და საფუძვლიანად ჩაუკვირდებით გერმანიის პოლიტიკური კურსი, სავსებით მისაღები საქართველოსათვის, ასევე მისაღები და პერსპექტივაზე გათვლილი იყო გერმანიისათვის. საქმე იმაშია, რომ პირველი მსოფლო ომის დაწყებისათვის (1914 წ.) მახლობელ აღმოსავლეთში (სირია, პალესტინა, ერაყი და სხვ.) გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ინგლისსა და საფრანგეთს. ამ გეოპოლიტიკურ რეგიონში გერმანიას პოზიციები არ გააჩნდა. გერმანიის მთავრობა თვლიდა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში

გაჭირსათვის საქართველო ხელსაყრელი პლაცდარმი იქნებოდა. მოკლედ, რომ ვთქვათ პროგრესული ორიენტაციის სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში გერმანიის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო. ოსმალეთი გარკვეული პროტესტის შემდეგ იძულებული გახდა საქართველოს მიმართ ფართო აგრესიული გეგმების განხორციელებაზე უარი ეთქვა. პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა სად და როდის დასჭირდებოდა ოსმალეთს გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გენერალ ოტო ფონ ლოსოვის წინადადება მიიღო და პროგრესული ორიენტაციის რეალიზებას შეუდგა. მოხდა ერთი შეხედვით წარმოუდგენელი რამ: **ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, რომლის ბატონ-პატრონად საბჭოთა რუსეთი, ჯერ რუსეთის დროებითი მთავრობა, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობა თვლიდა თავს 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.** ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთი და მხარს არ უჭერდა ანტანტა (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები). და მაინც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა. მალე საქართველოში გერმანიის შეიარაღებული ძალა – გერმანიის არმიის ერთი დივიზია (ბავარიის დივიზია) შემოვიდა.

1918 წლის მაისისათვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პროცესში, პროგრესული ორიენტაცია ხსნის ერთადერთი გზა იყო. სხვაგვარად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დიდი ხნით გადაიდებოდა და შეიძლებოდა საერთოდ ვეღარ განხორციელებულიყო. ამასთან ერთად, პერსპექტივის თვალსაზრისით, პროგრესული ორიენტაცია საქართველოსათვის ხელსაყრელი იქნებოდა თუ გერმანია პირველ მსოფლიო ომში გაიმარჯვებდა. სამწუხაროდ, 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში კაპიტულაცია გამოაცხადა. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ გერმანიაში საიმპერატორო ხელისუფლება დაამხო. ომში დამარცხებული გერმანიის ახალ ხელისუფლებას ცხადია, საქართველოს დაცვა აღარ შეეძლო. 1918 წლის დეკემბერში საქართველოდან გერმანიის დივიზიის ევაკუაცია დაიწყო.

ამიერიდან საქართველოს ურთიერთობა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ანტანტის ქვეყნებთან – ინგლისთან, საფრანგეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოუხდებოდა. ქართველ პოლიტიკოსებს მოკავშირე სწორედ გამარჯვებულ ქვეყნებს შორის უნდა ეპოვათ. საქართველოს პროგრესული ორიენტაციით გაღიზიანებული ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარება რომ ადვილი არ იქნებოდა, ეს წინასწარვე იყო ცნობილი.

## 5. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

XX საუკუნის დამდეგიდან ქართული ეროვნული მოძრაობა ახალ შინაარსს იძენს. ახალი შინაარსი თავისთავში შეიცავდა ორ მომენტს: **პირველი.** ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძეს, მის ეროვნულ პროგრამას პირდაპირი და უშუალო მემკვიდრე არ აღმოაჩნდა, ანუ სამოღვაწეო ასპარეზზე არ ჩანდა პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკური ძალა, რომელიც პირდაპირ, ცალსახად განაცხადებდა რომ აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს. ცხადია, ეს მოვლენა მხოლოდ უარყოფითად უნდა შეფასდეს. **მეორე.** ქართულ სინამდვილეში ჩაისახა და ფართო გაქანება ჰპოვა ორმა მოვლენამ: საქართველოს სამოციქულო

მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის მოძრაობამ. ეს მოვლენები, ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს.

ქართულ სინამდვილეში ჩასახული ორივე მოვლენა (ერთი უარყოფითი და მეორე დადებითი) თავისი ბუნებრივი გზით განვითარდებოდა, რომ არ დაწყებულყო პირველი მსოფლიო ომი (1914 წ.).

პირველმა მსოფლიო ომმა კარდინალურად შეცვალა ვითარება მთელ მსოფლიოში, მათ შორის რუსეთსა და საქართველოში. შესაბამისად შეიცვალა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, საერთოდ პოლიტიკურ ძალთა სამოქმედო გეგმებიც. პირველი მსოფლიო ომის გამო გართულებული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაართულა მეორე მოვლენამ – რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელმაც პირისპირა მიწისა აღგავა რუსეთის იმპერია. 1917 წლის 2 მარტს ტახტიდან გადადგა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი **ნიკოლოზ II**. რუსეთის იმპერიის აღსასრულმა სულ მოკლე დროში უკვე მეორედ კარდინალურად შეცვალა ვითარება რუსეთსა და საქართველოში. უმთავრესი ამ ცვლილებაში ის იყო რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელსაყრელი ვითარება შეექმნა თავისი პროგრამის რეალიზებისათვის.

თბილისი ამ დროისათვის წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოს არამედ მთელი კავკასიის ცენტრს. ქართულ ეროვნულ ძალთა გვერდით თბილისში ცდილობდა ორგანიზებას სომეხთა და აზერბაიჯანელთა ეროვნული ძალები.

ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომისთანავე რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, რუსეთში დიდი პოპულარობისა და ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქართველმა სოციალ-დემოკრატმა **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ** თავისთან იხმო **გიორგი (გოგიტა) ფაღავა** და ტელეგრაფში თბილისში გადასაცემად გაატანა დეპეშის ტექსტი. კონსპირაციის მიზნით დეპეშის ტექსტში ქართული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაწერილი: „**მთავრობაჲე გარდაიცვალა. შეატყობინეთ ნათესავეებსა და ახლობლებს.**“ სწორედ ამ ტელეგრაფით გაიგეს თბილისში რომანოვების იმპერიის აღსასრული.

თბილისი კავკასიის სამეფისნაცვლოს აღმინისტრაციის ცენტრს წარმოადგენდა. ბოლო მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი **ნიკოლოზ რომანოვი**. როგორც კი ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადადგომის ამბავი შეიტყო მეფისნაცვალმა თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქის თავი **ალექსანდრე ხატისოვი**, ასევე პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმომადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა მასთან შეკრებილთ ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე.

რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატებმაც კი ვერ შეძლეს ვითარებაში გარკვევა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით ისარგებლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და კავკასიის სამეფისნაცვლოში დანიშნა ხელისუფლების სამხარეო ორგანო – **ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი)**, რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი. ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ეროვნულ ძალებს შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ოზაკომის ფუნქციონირებას, მაგრამ ეს არ მოხდა. პოლიტიკურმა პარტიებმა ოზაკომთან თანამშრომლობა არჩიეს. მიუხედავად ამისა ოზაკომი ბოლომდე დარჩა სამხარეო ხელისუფლების უსუსურ ორგანოდ. რომ არა კავკასიის ფრონტზე განლაგებული რუსეთის არმია ოზაკომი საერთოდ ვერ შეძლებდა თავისი ფუნქციების შესრულებას.

ქართულ პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით პირველი ნაბიჯი მხოლოდ 1917 წლის აპრილის დამდეგს გადაიდგა. აპრილში შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი და მეორე **ინტერპარტიული კრებების** ჩატარება. ამ კრებებზე წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა და ზოგიერთი არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა ინტერპარტიულმა კრებებმა შეძლეს სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა. ეს პროგრამა

შემდგომში პერიოდულად იხვეწებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის აპრილიდან მომდევნო თვეებში ინტერპარტიული კრების მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა ორგანიზაციული თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადადგეს და 1917 წლის აგვისტოში **საქართველოს ინტერპარტიული საბჭო** შექმნეს. არც საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე და არც საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. ეს ძირითადად განპირობებული იყო სოციალისტური ორიენტაციის ძალების (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების) პრორუსული ორიენტაციით. თუმცა დამკვიდრებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანებში არც ეროვნულ-დემოკრატებს წამოუყენებიათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. ყველაზე რადიკალური მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის შექმნა იყო. ეროვნულ-დემოკრატებმა რუსეთთან კონფედერაციული კავშირის დამყარების იდეაც წამოაყენეს, მაგრამ როგორც პოლემიკიდან გაირკვა ეს კონფედერაცია არსით იგივე ფართო უფლებებით აღჭურვილ ავტონომიურ ერთეულს უტოლდებოდა, ანუ პრაქტიკულად ეროვნულ-დემოკრატებიც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის იდეას უჭერდნენ მხარს. სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ის, რომ თავდაპირველად ძალზე პოპულარული იყო რუსეთის შემადგენლობაში არა საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის შექმნის იდეა.

ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ცხარე პოლემიკას დასასრული არ უჩანდა, როცა უკვე მესამედ კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 1917 წლის 24-25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და რუსეთის კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. დროებითი მთავრობის სამართალმემკვიდრე საბჭოთა რუსეთის მთავრობა იმთავითვე შეუდგა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნას. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მისი პოლიტიკური ლიდერები (ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი და სხვ.) სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის მებრძოლ ძალებს, მათ შორის ქართულ ეროვნულ მოძრაობას. რუსული ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ბუნების კარგად მცოდნე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების – ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ვეგენი გეგეჭკორისა და სხვათა ინიციატივით მოხდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება და 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირებას შეუდგა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანო – **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ვეგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურდათ წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას. ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას თუმცა შესაძლებლად მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის არსებობა.

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) ინიციატივით მოწვეული **საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა**. ყრილობა 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. იმის გამო, რომ ყრილობაზე სოციალისტური ორიენტაციის ძალები (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) სჭარბობდნენ ეროვნულ ძალებს (ეროვნულ-დემოკრატებს, უპარტიოებს) ყრილობამ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პრორუსულ ორიენტაციაზე იყო საუბარი იგულისხმებოდა არა საბჭოთა, ბოლშევიკური რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი. ყრილობაზე ისიც აღინიშნა,

რომ თუ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება არ დაემხოვოდა და დემოკრატიული წყობილება არ გაიმარჯვებდა, მაშინ უნდა მოწვეულიყო საქართველოს დამფუძნებელი კრება. ყრილობის დოკუმენტებში არ ჩაწერილა, მაგრამ სავსებით ცხადი იყო, რომ დამფუძნებელ კრებას უნდა დაკისრებოდა ერთადერთი მისია – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ამ იდეის რეკლამირება მაშინ არ ხდებოდა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ პრორუსული ორიენტაციის დადასტურება შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული. იმ ხანად ოსმალეთის (თურქეთის) არმიის შემოტვისაგან საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიას რუსეთის არმია იცავდა. პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატების ის ნაწილი, რომელნიც პრორუსულ ორიენტაციას უჭერდა მხარს და საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეის რეკლამირებას არ ახდენდა ამტკიცებდა, რომ ანტირუსული ლოზუნგები რუსეთის კავკასიის არმიაში მდელვარებას გამოიწვევდა. ამის საბაზი ნამდვილად იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფად აღიქვა, არმიის სარდლობა იმუქრებოდა, რომ ფრონტის ხაზს მიატოვებდა და არმიას რუსეთში დააბრუნებდა. თბილისიდან სპეციალურად გაგზავნილმა პოლიტიკოსებმა შეძლეს რუსი სამხედროების დარწმუნება, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა და ემიჯნებოდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მთავრობას და არა მომავალ დემოკრატიულ რუსეთს. პირველ ეროვნულ ყრილობაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის დიად და ფართოდ რეკლამირება ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობამ საშიშად მიიჩნია. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წამოყენების შემთხვევაში რუსეთის არმია ან ფრონტის ხაზს მიატოვებდა და საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, რაც გზას გაუხსნიდა ოსმალეთს საქართველოს ოკუპაციისათვის ან რუსეთის არმია თვითონ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. რუსეთის არმიის კეთილგანწყობის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. მართალია ამ დროისათვის რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობა არ სცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, მაგრამ არავინ არ იცოდა რა პოზიციაზე დადგებოდა არმია მომავალში. სწორედ ამ რეალურ საფრთხეს გაუწიეს ეროვნულ-დემოკრატიკებმა ანგარიში, როცა მათთვის არასასურველ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირეს მხარი.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანიას** გახდა. გარდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნენ უკვე იმხანად და მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები: **დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა მიქელაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი.**

საქართველოს მომავალი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთსა და მსოფლიოში. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არც მაღავედა თავის მტრულ დამოკიდებულებას ქართული ეროვნული მოძრაობისადმი, ბოლშევიკები რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე უნიტარული სახელმწიფოს შექმნას ესწრაფოდნენ. მათთვის მიუღებელი იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე არა მარტო ეროვნული სახელმწიფოების აღმოცენება, არამედ რუსეთის შემადგენლობაში ეროვნული ავტონომიური ერთეულებისა და ფედერაციული ოლქების შექმნაც კი. სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომის პირობებში ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს ჯეროვან დახმარებას ვერ უწევდნენ. ეს აშკარად გამოჩნდა 1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ) დიპლომატთა და სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტის დროს. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ევროპელმა დიპლომატებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარს ვერ დაუჭერდნენ, ხოლო ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში ქართველებს ვერც ჯარით, ვერც შეიარაღებითა და ვერც ფულით ვერ დაეხმარებოდნენ.

საბჭოთა რუსეთმა მალე გამოაჩინა ნამდვილი სახე. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად რუსეთის კავკასიის არმია გაიხრწნა და უმართავ ძალად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ

გადაწყვიტა სწორედ ამ სამხედრო ძალით მოეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზნი მიატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახლად შექმნილმა ქართულმა რევულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება. რუსები იძულებული გახდნენ თბილისის ოკუპაციაზე ხელი აეღოთ და ბაქოსაკენ დაიხიეს. რუსეთის ვერაგული გეგმები საქართველოს მიმართ მალე სხვა მხრივაც გახდა საცნაური. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიის იმპერიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი) დადო სეპარატიული ზავი. ზავის პირობების თანახმად რუსეთის არმიას უპირობოდ უნდა დაეტოვებინა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია (ანატოლია). რაც შეეხება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილს (იმუამინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმის, ყარსის და არტანის ოკრუგებს), რომელიც 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, რუსეთის არმია ასევე ტოვებდა. ამ ოკრუგების მოსახლეობას ოსმალეთთან და რუსეთთან, უპირატესად კი ოსმალეთთან, შეთანხმებით თავად უნდა გაერკვია საკითხი თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ სცნო. იგი ბათუმის, ყარსისა და არტანის ოკრუგებზე იურისდიქციის დათმობას არ აპირებდა. ოსმალეთს ომის გარეშე უნდოდა აღნიშნული ტერიტორიების ხელში ჩაგდება. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში დაიწყო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პრაქტიკულად ოსმალეთი მოლაპარაკების გამართვას არც აპირებდა. ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ის რუსეთის ნაწილია და ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი უნდა სცნოს. ვითარება დაიძაბა. ამ დროისათვის უკვე თბილისში შეკრებილი იყო ამიერკავკასიის პარლამენტი – სეიმი, რომლის თავმჯდომარეც კარლო ჩხეიძე იქნა არჩეული. ამიერკავკასიის სეიმი ოსმალეთთან მოლაპარაკების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ამის საპასუხოდ ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა და 1918 წლის 1 აპრილს ბათუმი დაიკავა. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ოკუპაციაც მოახდინეს. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმი გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამის შემდეგ ოსმალეთს ვეღარ უნდა წამოეყენებინა ის არგუმენტი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა ბათუმში, რომელიც იმხანად უკვე ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ბათუმში პრაქტიკულად დელეგაციათა დონეზე ერთადერთი შეხვედრა გაიმართა 1918 წლის 11 მაისს. შემდგომ დღეებში მიმდინარეობდა კერძო შეხვედრები. ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციის შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი გენერალი ოტო ფონ ლოსოვი. ოსმალებმა ამჯერად ახალი პრეტენზია წამოაყენეს: მართალია ამჟამად ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების მომენტში იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო, ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაციას არა აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შეცვლა. უფრო მეტიც, ოსმალებმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს. ოსმალეთის დელეგაცია ითხოვდა ომის შემთხვევაში ჯარების გადასაყვანად ამიერკავკასიის რკინიგზის თავისუფლად გამოყენების უფლებას. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოსმალეთის არმია მდინარე ჩოლოქთან იდგა. ოკუპირებული იყო მთელი სამხრეთ საქართველო ბორჯომამდე. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერებისათვის აუცილებელი სამხედრო ძალა ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს არ გააჩნდათ, უფრო მეტიც აზერბაიჯანი ოსმალეთს აგრესორად არც განიხილავდა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე გაირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შინაგანი წინააღმდეგობა ღრნიდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქართველები გერმანოფილურ, სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილურ ორიენტაციას

აღიარებდნენ. გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისაგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ მათ უნდა გამოეცხადებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. გენერალი ოტო ფონ ლოსოვი ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე. აკაკი ჩხენკელმა 1918 წლის 12 მაისით დათარიღებულ ბათუმიდან გამოგზავნილ ორ წერილში საქართველოს ეროვნულ საბჭოს შექმნილი ვითარების თაობაზე მოახსენა. იგი ეროვნულ საბჭოს აფრთხილებდა: საქართველოსათვის ოსმალეთთან ომის წარმოება დამღუპველი იყო. ამასთან ერთად აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს სთავაზობდა გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსის აღიარებას. თბილისში თითქმის ყოველ დღე იმართებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები. 1918 წლის 14 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, მოწვეული სტუმრის სტატუსით სხდომას ესწრებოდნენ შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა. სხდომას თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ გაანალიზა შექმნილი ვითარება და ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაუგზავნა შემდეგი მითითებები: 1) ეცნობოს ბათუმის საზაო მოლაპარაკებაზე გერმანიის იმპერიის წარმომადგენელს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რომ ეროვნული საბჭოს თხოვნაა გერმანიამ ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს; 2) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს რათა სათანადო ღონისძიებანი გაატაროს ჩრდილო კავკასიაში გერმანიის ჯარების წინსვლის დასაჩქარებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გერმანიის ჯარებთან კავშირის დამყარება; 3) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების საქართველოში ორგანიზებულად დაბრუნებას; 4) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს ვიდრე გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეების დაბრუნების საქმე მოგვარდებოდეს, მოხდეს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეების სამხედრო რაზმად ორგანიზება გერმანელი ოფიცრის მეთაურობით, რათა საჭიროების შემთხვევაში გერმანელთა სამხედრო ძალა გამოყენებული იქნას საქართველოში შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.

მოგვიანებით გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შედგენილი რაზმი გერმანელი ოფიცრის მეთაურობით გადაყვანილი იქნა გურიის ტერიტორიაზე, სადგურ ნატანებთან, ხოლო შემდეგ მდინარე ჩოლოქის ნაპირას. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე მდგარმა ოსმალეთის არმიის ნაწილებმა ვერ გაბედეს გერმანიის იმპერიის არმიის ფორმაში გამოწყობილი გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შექმნილი სამხედრო დანაყოფის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გერმანოფილური ორიენტაციის აღიარება შექმნილ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გამოსავალი იყო. ოსმალეთი გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა, ამიტომ მას ანგარიში უნდა გაეწია გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებისათვის. გერმანოფილური ორიენტაციის საქართველოს ოსმალეთის მხრიდან აგრესიული ქმედებების შიში აღარ უნდა ჰქონოდა. სხვა სახელმწიფოების დახმარებით ოსმალეთის საფრთხის განეიტრალება შეუძლებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი ასევე გარკვეული საფუძველი გააჩნდა. გერმანიას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები არ გააჩნდა. მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციის მოპოვებისათვის საქართველო გერმანიისათვის წარმოადგენდა პლაცდარმს. სწორედ აქედან შეიძლებოდა დაეწყო გერმანიას მისი კონკურენტების შევიწროება მახლობელ აღმოსავლეთში. საქართველო მით უფრო ფასობდა გერმანიისათვის, რომ სომხეთს ანგლოფილური, ხოლო აზერბაიჯანს თურქოფილური ორიენტაცია ეკავა. გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი

ზრდიდა ისიც, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში თანდათან ძლიერდებოდა ანტირუსული განწყობილება.

1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს არწმუნებდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალური იყო. აკაკი ჩხენკელი დაუინებოთ ირწმუნებოდა, რომ ხსნის ერთადერთი გზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. 1918 წლის 16 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი. სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. სხდომამ განიხილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების საკითხი. დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებლად შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი, დავით ვაჩნაძე და შალვა მესხიშვილი.**

სამთა კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მეორე დღისათვის უკვე მზად ჰქონდა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად 1918 წლის 17 მაისს კვლავ შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა. სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: დავით ვაჩნაძე, შალვა მესხიშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, პოლკოვნიკი კარგარეთელი, პოლპოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე. შექმნილ ურთულეს სამხედრო პოლიტიკურ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისათვის თბილისის დაცვას. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამთა კომისიამ აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი: 1) ვისთვის ჩაებარებინათ თბილისის დაცვა; 2) რომელი ორგანო უხელმძღვანელებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეს. აღმასრულებელმა კომიტეტმა მსჯელობის შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1. თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები; 2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ვლადიმერ ახმეტელი, ხოლო მის მოადგილედ პოლკოვნიკი ნაქერელიძე. გენერალმა ვლადიმერ ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერელიძემ იმუშაონ ქართული კორპუსის მეთაურის გენერალ ვასილ გაბაშვილის ხელმძღვანელობით. 3. დამოუკიდებლობის გამოცხადებას უხელმძღვანელოს იგივე სამთა კომისიამ, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ბათუმში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. ოსმალეთის დელეგაცია კომპრომისზე არ მიდიოდა, კომპრომისზე არ მიდიოდა არც ამიერკავკასიის დელეგაცია. აკაკი ჩხენკელს რამდენიმე კერძო შეხვედრა ჰქონდა გენერალ ოტო ფონ ლოსოვთან. გენერალმა დაადასტურა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში იგი შუამდგომლობას აღძრავდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეკისრა საქართველოს დაცვა. 1918 წლის მაისის შუა ხანებისათვის ასეთი ვითარება იყო შექმნილი: სომხეთის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ასევე ოსმალეთის ჯარების ეკავა, აზერბაიჯანი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად არ განიხილებოდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ თუ საქართველო გერმანიის გარანტიით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გამოაცხადებდა, მაშინ საქართველოს ოკუპაცია ოსმალეთისათვის გერმანიასთან ურთიერთობის გაფუჭებას ნიშნავდა. ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება ოსმალეთს ხელს არ აძლევდა. ამიტომ არსებობდა საფრთხე, რომ ოსმალეთს საქართველო მანამდე დაეპყრო სანამ იგი გერმანიის გარანტიით დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ამ საფრთხის თაობაზე აკაკი ჩხენკელი მთელი



კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. ზოგიერთი პოლიტიკოსი ვითარებაში ვერ გაერკვა და საკმაოდ გულუბრყვილი კითხვა დასვა: რა მნიშვნელობა აქვს ოსმალეთი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაგვიპყრობს, თუ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ? ამაზე აკაკი ჩხენკელი თავის წერილში პასუხობდა: თუ ოსმალეთმა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიპყრო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ის დაიპყრობს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს; დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობა განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დაპყრობა და ამდენად საქართველოს ექნება სამართლებრივი საფუძველი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

თბილისში ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა) მდებარეობდა დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. შექმნილი ვითარების შეფასების მიზნით დაინიშნა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც 25 მაისს, დამის 11 საათზე გაიხსნა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშივილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბრისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშივილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშივილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დიმიტრი ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, მდივნობდა დავით ნახუცრიშივილი. ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც იგი ითხოვლობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას. შემდეგ ნოე ჟორდანიამ განმარტა, რომ 25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას. სომხების და აზერბაიჯანელების მოთხოვნით სხდომა გადაიდო 26 მაისის დღის 12 საათისათვის. ნოე ჟორდანიამ შემოიტანა შემდეგი წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რამდენიმე წევრმა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყოვნებლივ – 25 მაისს. ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანიას. თავისი მოსაზრება მან ასე დაასაბუთა: სანამ არ დაშლილა ამიერკავკასიის ფედერაცია შეუძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან მოხდება ისე, რომ ერთი და იგივე ტერიტორიაზე იმოქმედებს ორი მთავრობა. ბოლოს გაიმართა კენჭისყრა. კენჭი ეყარა საკითხს: „**საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ**“. დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ, 25 მაისს, გამოცხადებას ხმა მისცა 6 წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას – 4 წევრმა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადაამუშავებას საჭიროებდა. ამის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისთავად გადაიდო 26 მაისისათვის. აქტის ტექსტის გადაამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება დაევალია ნოე ჟორდანიას. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განსაზღვრა სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა.

1918 წლის 26 მაისს რუსთაველის (გოლოვინის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელმაც ნაშუადღევს 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, სადაც სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს 4 საათზე და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი. საბჭოს სხდომაზე

სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანიას. სიტყვის დამთავრების შემდეგ მან წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის შემადგენლობა, რომელიც უცვლელად დამტკიცდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: ნოე რამიშვილი – მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, აკაკი ჩხენკელი – საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე – სამხედრო მინისტრი, გიორგი ჟურული – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი – სახალხო განათლების მინისტრი, ნოე ხომერიკი – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, შალვა მესხიშვილი – იუსტიციის მინისტრი, ივანე ლორთქიფანიძე – გზათა მინისტრი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა დასრულდა ნაშუადღევს 5 საათზე და 55 წუთზე. სხდომის დასრულების შემდეგ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება.

## 6. დიდი მოვლენის შუქჩრდილები (1918 წლის 26 მაისის შეფასებისათვის)

1918 წლის 26 მაისს წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 26 მაისი იყო გერგვინი დიდი ეპოქისა, რომლის განმსაზღვრელი იყო ბრძოლა შეღახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ამ გამორჩეულმა მოვლენამ განსაზღვრა ქართველი ერის ბედი არა მარტო XX საუკუნეში, არამედ XXI საუკუნეშიც. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ დიდ მოვლენასაც ჰქონდა თავისი შუქჩრდილები, რომლის გათვალისწინება 1918 წლის 26 მაისის შეფასებისათვის აუცილებელია.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა საფუძველი ჩაუყარა ახალ საქართველოს – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წწ.). დღევანდელი ქართველობა მადლიერი უნდა იყოს იმ ურთულეს ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკოსებისა, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და პარტიული კუთვნილების ადამიანებისა, რომელთაც შეძლეს ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ადგილი დაიმკვიდრა ქართულმა სახელმწიფომ.

სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შინაარსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები და დასაბრუნებელი წარუმატებლობები გაპირობებული იყო XX საუკუნის დამდევის ქართული საზოგადოების განწყობილებით, ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათით, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა მისწრაფებებით.

XIX საუკუნის დიდი ერგნული მოძრაობის შედეგი იყო ანტირუსული განწყობილების გაძლიერება საქართველოში. XX საუკუნის დამდევიდან ვითარება იცვლება. ქართულ სინამდვილეში ეროვნულ და სოციალისტურ ძალთა დაპირისპირებაში სოციალისტებმა იმძლავრეს. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლას, ილიას გზის გმობას ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნული მოძრაობის დასამარების აუცილებელ პირობად მიიჩნევენ.

1901 წელს საქართველოში დიდი ზარზემით აღინიშნა „რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთების 100 წლისთავი“. ცხადია, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებასა და კავკასიის

კოლონიურ ადმინისტრაციას წინ ვერავინ აღუდგებოდა. იუბილე ისე გაიმართებოდა როგორც ეს ხელისუფლებას სურდა. ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. **გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული საზოგადოების, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა დამოკიდებულებას ამ სამარცხვინო, ქართველი ერის შეურაცხმყოფელი იუბილესადმი.** ცალკეული ქართველი პატრიოტების პროტესტი ვითარებას ვერ ცვლიდა. 1901 წელმა ცხადად დაადასტურა: **საქართველოში არ იყო რამდენადმე ძლიერი და გავლენიანი ანტირუსული პოლიტიკური ძალა (პოლიტიკური პარტია), საშუალო და ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ ლიდერთა (თუ ლიდერობის კანდიდატთა) შორის არ იყო გამოკვეთილი ანტირუსული ორიენტაციით ცნობილი მოღვაწე.**

ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ.). გერმანიის იმპერიის მოკავშირე ოსმალეთი არ მალავდა თავის აგრესულ გეგმებს საქართველოს მიმართ. საფრთხე რეალური იყო. საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეეძლო. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის მარცხი საქართველოში ოსმალეთის ბატონობის დასაწყისს ნიშნავდა. ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის, პოლიტიკურ ძალთა და პოლიტიკურ ლიდერთათვის საქართველოში ოსმალეთის მობრუნება წარმოდგენილი იყო. ამ შემთხვევაში არჩევანი **ცუდსა (რუსეთსა) და უარესს (ოსმალეთს)** შორის გაკეთდა. ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში გერმანიის მხარდაჭერით რუსეთის წინააღმდეგ აჯანჯების დაწყება ვერ შეძლო. ამ იდეას წინ აღუდგნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციისა და რომანოვების იმპერიის ნგრევის შემდეგ დღეებში საქართველოში **ანტირუსულ და პრორუსულ** ძალთა თანაფარდობა თითქმის 1901 წლის დონეზე იყო (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ევროპაში). ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – დროებითმა მთავრობამ – უმტკივნეულოდ გააავრცელა თავისი იურისდიქცია საქართველოზე და მთელს სამხრეთ კავკასიაზე. 1917 წლის მარტიდან თბილისში მუშაობას შეუდგა ხელისუფლების სამხრეთ ორგანო – **ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი).** ოზაკომის მიმართ ლოიალური პოზიცია დაიკავეს როგორც სოციალისტური ორიენტაციის ძალებმა (სოციალ-დემოკრატებმა მენშევიკებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა), ისე ეროვნულმა ძალებმა (ეროვნულ-დემოკრატებმა, უპარტიოებმა). იგივე პოლიტიკას დაადგა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული პირველი და მეორე კრება (1917 წლის აპრილი). სწორედ ინტერპარტიულმა კრებებმა (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) დაადასტურა სავალალო ჭეშმარიტება: **რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში ქართველი ერის, საქართველოს არსებობა ქართველ საზოგადოებას, პოლიტიკურ ძალებს, პოლიტიკურ ელიტას და პოლიტიკურ ლიდერებს საგსებით შესაძლებლად მიაჩნდათ.** სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის წამოყენება და დაცვა არავის უცდია. გაუბედავ და ზოგად მინიშნებებს კი აგრესიული კრიტიკით ხედებოდნენ სოციალისტური ორიენტაციის ძალები.

ქართულ საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებში ანტირუსული განწყობილების გაძლიერება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაცია უნდა მომხდარიყო 1917 წლის 24-25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ბოლშევიკებმა რუსეთის დემოკრატიული განვითარება შეწყვიტეს და ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყეს. საქართველოს პოლიტიკურ ძალთაგან ყველაზე ძლიერს – ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) საბჭოთა (ბოლშევიკურ) რუსეთთან ურთიერთობის დამყარება პრინციპულად არ სურდათ, ისინი არც სცნობდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობას. ყოველივე ეს საფუძველი არ გახდა ანტირუსული განწყობილების გაძლიერების, დასავლური ორიენტაციის შემუშავებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციისათვის. ქართველი სოციალ-დემოკრატები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდნენ და რუსეთი ისევ დემოკრატიული განვითარების გზას დაადგებოდა (უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ფიქრობდა მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი პოლიტიკური მოღ-

ვაწე). სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ **საქართველოში დროზე არ დაიწყო რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწვეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობის პროპაგანდა, არ დაიწყო მოკავშირის ძებნა. პირიქით, დემოკრატიული რუსეთის მოტრფიალე სოციალისტური ორიენტაციის ძალები ხელს უშლიდნენ ქართულ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას, ქართველი ერის მომზადებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ თვალსაზრისით რადიკალური მოქმედებისაგან თავს იკავებდნენ ეროვნულ-დემოკრატები. საბოლოო ჯამში საქართველოში ვერ შეიქმნა ძლიერი ანტირუსული პოლიტიკური ძალა, რომლისთვისაც მიუღებელი იქნებოდა საქართველოს ყოფნა როგორც საბჭოთა (ბოლშევიკურ), ისე დემოკრატიულ რუსეთში. ამიტომ იყო, რომ 1917 წლის 15 ნოემბერში თბილისში შექმნილი ამიერკავკასიის კომისარიატი მხოლოდ სამხარეო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის კომისარიატი საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, თუმცა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირს არ წყვეტდა და რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენას ელოდებოდა. ცხადია, ასეთი ტაქტიკის პირობებში ანტირუსული განწყობილება ვერ გაძლიერდებოდა და ვერც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დაწყება მოხერხდებოდა. ეროვნულ-დემოკრატების (გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის და სხვ.) ენერგიული პროტესტის მიუხედავად იგივე სულისკვეთება გაბატონდა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე (გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს). ყრილობამ (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას) პრორუსული ორიენტაცია დაადასტურა, თუმცა ხაზი გაესვა იმას, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა არა საბჭოთა რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი. დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე ეროვნულ-დემოკრატებს ქართველი სოციალ-დემოკრატები ისევე კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსეთის არმიით აშინებდნენ (დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში რუსეთის არმია ან საქართველოს ოკუპაციას მოახდენს, ან ფრონტის ხაზს დატოვებს და რუსეთს დაბრუნდებოდა), დროდადრო ოსმალეთის აგრესიულ გეგმებზე საუბრითაც ცდილობდნენ ოპონენტების დაშინებას.**

1918 წლის იანვრამდე ლოღინის ტაქტიკას შეიძლება რაღაც განმარტლება კიდევ მოეძებნოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის კანონიერი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – დამფუძნებელი კრება – გარეკეს, ლოღინის ტაქტიკამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. ლოღინის ტაქტიკა კიდევ უფრო უაზრო გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის იანვარში საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდის შემდეგ რუსეთის არმიამ საქართველო დატოვა. შექმნილ ვითარებაში რჩებოდა ერთადერთი გზა: **სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღდგენა**. ამის სანაცვლოდ სოციალისტური ორიენტაციის ძალებმა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტისაგან კვლავ თავი შეიკავეს და ისევე ლოღინის ტაქტიკა გააგრძელეს. მართალია, ამიერკავკასიის სეიმი (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) 1918 წლის 10 თებერვალს უკვე შეკრებილი იყო, მაგრამ ამიერკავკასიის (და არა საქართველოს!) დამოუკიდებლობა მხოლოდ 1918 წლის 9(22) აპრილს გამოაცხადა. თვით **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის** შექმნა ლოღინის ტაქტიკის გაგრძელებას ნიშნავდა. სოციალისტური ორიენტაციის ძალები ბოლომდე ფეხს ითრევდნენ, დემოკრატიული რუსეთის მოტრფიალენი თავს იზღვევდნენ და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ ჩქარობდნენ.

ლოღინის ტაქტიკას ბოლო ოსმალეთმა მოუღო. **ტრაპიზონის კონფერენციაზე** (1918 წლის მარტი), ხოლო შემდეგ **ბათუმის კონფერენციაზე** (1918 წლის მაისი) ოსმალეთი **ბრესტ-ლიტოვსკის** ზავით (1918 წლის 3 მარტი) მინიჭებული უპირატესობის დადასტურებას და ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (აჭარა, სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი) ოსმალეთის არმიის მიერ იქნა ოკუპირებული. საფრთხე ემუქრებოდა ქუთაისსა და თბილისს. 1918 წლის 25 მაისს, გვიან საღამოს, ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ცხადი გახდა: 1) სომხეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული; 2) აზერბაიჯანის ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნად არ განიხილებოდა; 3) საქართველოს ტერიტორიის ნაწილი (სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები) ოსმალეთის მიერ იყო ოკუ-

პირებული. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერება საკუთარი სამხედრო ძალით საქართველოს არ შეეძლო; 4) სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მომხდარიყო ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე; 5) შეიძლებოდა ოსმალეთს საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც დაეპყრო, მაგრამ ამ შემთხვევაში ოსმალეთი დაიპყრობდა დამოუკიდებელ ქვეყანას, ეს კი საქართველოს მომავალში საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას გაუადვილებდა; 6) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში გერმანიის იმპერია საქართველოს დაიცავდა, მათ შორის ოსმალეთის აგრესიისაგანაც (ამიერკავკასიის სამოკაემირო სახელმწიფოს დაცვას გერმანია ვერ იკისრებდა, რადგან სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები – თურქოფილურ ორიენტაციაზე იდგნენ). მოკლედ რომ ვთქვათ საკითხი ასე იდგა: **ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება, ან ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება.** ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ ყოფილა ანტირუსული მოძრაობის, ანტირუსულ ძალთა კონსოლიდაციის შედეგი. პოლიტიკურმა ძალებმა, პოლიტიკურმა ელიტამ და პოლიტიკურმა ლიდერებმა მოსახლეობას არ განუმარტეს უმთავრესი: **ქართველი ერი სახელმწიფოებრივ კავშირს სწყვეტდა რუსეთთან, პოლიტიკური რეჟიმისაგან დამოუკიდებლად უარს ამბობდა რუსეთის შემადგენლობაში ნებისმიერი ფორმით ცხოვრებაზე.**

ტაქტიკის ასეთი სწრაფი შეცვლა გაუგებარი დარჩა ქართული საზოგადოებისათვის. საზოგადოებაში დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღესაც **ანტირუსული განწყობილება არ იყო ძლიერი და ყოვლისმომცველი.** საზოგადოებამ პასუხი ვერ იპოვა კითხვაზე: **ქართველები რუსეთს გაგურობდით თუ ოსმალეთს? რუსეთთან სახელმწიფოებრივ კავშირს ვწყვეტდით და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვაცხადებდით იმიტომ, რომ ეს ასე გვსურდა, თუ ამას ოსმალეთის აგრესიისაგან თავის დაცვა გვადიხლებდა?** ასეთმა ვითარებამ, საზოგადოება დააბნია და საბოლოოდ გახლიჩა კიდევ.

მიუხედავად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა სოციალისტურ და ეროვნულ ძალთა შერიგება არ მომხდარა. გახლეჩილი დარჩა პოლიტიკური ელიტაც და საზოგადოებაც. ახალმა საქართველომ არსებობა დაიწყო პოლიტიკურ ძალთა პრინციპული უთანხმოების, პოლიტიკური ელიტისა და მთელი ქართული საზოგადოების გახლეჩის პირობებში. დროებითმა დაზავებამ, სოციალისტური და ეროვნული ორიენტაციის ძალების შეთანხმებამ ძალზე ცოტა ხანს გასტანა – 1918 წლის 25 მაისის გვიან საღამოდან 26 მაისის ნაშუადღევამდე. შემდეგ დაპირისპირება თავიდან დაიწყო...

1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრობის აღდგენისათვის. ამ დიდ მონაპოვარს ვერაფერი დაჩრდილავს. რაც შეეხება იმას, თუ როგორი იყო ეს გამარჯვება ამის თაობაზე პოლემიკა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩვენი აზრი კი ასეთია: **1918 წლის 26 მაისი თავისი არსით იყო ისეთი, როგორც იყო ქართული საზოგადოება, ქართული პოლიტიკური ძალები, ქართული პოლიტიკური ელიტა და ქართველი პოლიტიკური ლიდერები.** უკეთესი იმხანად მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.

## 7. 26 მაისი თუ 9 აპრილი? (პასუხი კითხვაზე, რომელიც არ უნდა დასმულიყო)

XX საუკუნეში ქართველმა ერმა ორჯერ შეძლო დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1918 წლის 26 მაისს, ასწვიდმეტწლიანი წყევტილის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს, სამოცდაათწლიანი წყევტილის შემდეგ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.“ ორივე მოვლენა უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიაში, ორივე მოვლენა ღირსეულად უნდა აღინიშნოს. მხოლოდ საქართველოს არა აქვს ორი დიდი თარიღი (1918 წლის 26 მაისი და 1991 წლის 9 აპრილი), იგივე მდგომარეობაა ლიტვაში (1918 წლის 16 თებერვალი და 1990 წლის 17 მარტი), ესტონეთში (1918 წლის 24 თებერვალი და 1991 წლის 20 აგვისტო), ლატვიაში (1918 წლის 18 ნოემბერი და 1991 წლის 21 აგვისტო). მიუხედავად ამისა ლიტველებს, ესტონელებს და ლატვიელებს აზრადაც არ მოსვლიათ „ორიდან ერთი“ ამოერჩიათ, ორივე მოვლენა საამაყო მათთვის, ორივეს მიაგებენ პატივს.

დღეს საქართველოში დამოუკიდებლობის დღედ ოფიციალურად 26 მაისია აღიარებული. გაუგებარია რატომ ხედავენ ამ ფაქტში 9 აპრილის მნიშვნელობის დაკნინებას? რატომ მოითხოვენ დამოუკიდებლობის დღედ ოფიციალურად არა 26 მაისის, არამედ 9 აპრილის აღნიშვნას? ჩემი აზრით უმჯობესია ოფიციალურად დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნოს 26 მაისი. ეს მოსაზრება ემყარება შემდეგს:

**პირველი.** ქართველმა ერმა მრავალჯერ დაჰკარგა და აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენა საგანგებო სახელმწიფოებრივი აქტით პირველად 1918 წლის 26 მაისს გაფორმდა. თეორიულად ასეთი აქტი შეიძლებოდა გამოცემულიყო დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის მეფობის უამს, გაცილებით ადრეც და გვიანაც. 1918 წლის 26 მაისამდე მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სხვა აქტი, წერილობითი ან სხვა სახით დადასტურებული, ჩვენამდე მოღწეული არ არის.

**მეორე.** 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა“ ფორმალურად აღადგინა 117 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. იგულისხმება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. იურიდიული ძალა ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ გააჩნდა. მიუხედავად ამისა 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“ სახელმწიფოებრიობა ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე კი არ აღუდგენია, არამედ **საქართველოში.** ე.ი 1918 წლის 26 მაისის აქტით დადასტურდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამართალმემკვიდრე იყო არა XIX საუკუნის დამდგეს რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართული სამეფო-სამთავროებისა (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები), არამედ ერთიანი ქართული სახელმწიფოსი, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამრიგად, ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით“ ფორმალურად დაიბრუნა ის, რაც დაკარგა XIX საუკუნის დამდგეს, მაგრამ რეალურად დაიბრუნა ისიც, რაც დაკარგა XV საუკუნის მეორე ნახევარში. თუ 1918 წლის 26 მაისის აქტს ამ თვალსაზრისით არ შევაფასებთ, მაშინ 1917-1918 წლებში, რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ, თეორიულად შესაძლებელი იყო შემდეგი: აღდგენილიყო XIX საუკუნის დამდგეს რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები. 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა“ სწორედ ეს თეორიული შესაძლებლობა გამოირიცხა – დასძლია, როგორც

სამსაუკუნოვანი (XVI-XVIII სს.) პოლიტიკური დაშლილობის, ისე რუსეთის ანკვიდმეტწლიანი კოლონიური პოლიტიკის უარყოფითი შედეგები.

**მესამე.** 1991 წლის 31 მარტს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის დროს მოსახლეობამ უპასუხა კითხვას: **მომხრე იყო თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?** კითხვის ამგვარად ფორმულირება აბსოლუტურად სწორი იყო. ცხადია, საქართველოს უზენაეს საბჭოს შექმლო მოსახლეობის აზრი ამგვარი კითხვითაც გაეგო: ხართ თუ არა მომხრე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? ამ შემთხვევაში 1991 წლის 9 აპრილის “საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის” ძალით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ე.ი. დღევანდელი საქართველო, ვერ იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) სამართალმემკვიდრე, ანუ სამართალმემკვიდრეობითი კავშირი ხელოვნურად გაწყდებოდა. გარდა ამისა 1991 წლის აპრილში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი იყო იმისი დეკლარირება, რომ ქართველი ერი ახდენდა 1918 წლის 26 მაისს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საეხებით კანონიერად აღდგენილი და 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ იურიდიულ საფუძველს 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ წარმოადგენდა.

**მეოთხე.** 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდეგ ძალაში დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი, დროშა, და ჰიმნი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ 1991 წლის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იყო.

**მეხუთე.** 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობის დაკნინების მიზნით ხშირად ხაზს უსვამენ იმას, რომ 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა გერმანიის მოთხოვნით. ასეთი მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. 1918 წლის მაისისათვის შექმნილ ვითარებაში. საქართველოსა და გერმანიის იმპერიის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. გერმანელებმა ქართველი პოლიტიკოსები დაარწმუნეს იმაში, რომ ოსმალეთის აგრესიას ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა ვერ გაუძლებდა (რაც სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა!), ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დღეები დათვლილი იყო. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი. საქართველოს ოსმალეთის მიერ ოკუპაციამდე უნდა გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს დაცვა შედიოდა გერმანიის ინტერესებში. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო, როგორც ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს ნაწილი, დაპყრობილი იქნებოდა ოსმალეთის მიერ. ოსმალეთის გაბატონება სამხრეთ კავკასიაში არ შედიოდა გერმანიის ინტერესებში. მართალია, ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო, მაგრამ ომისაგან დასუსტებული ოსმალეთი სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის კონკურენციას ვერ გაუძლებდა და გერმანიაც რეგიონში თავის პოზიციებს დაკარგავდა. შექმნილ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ოსმალეთის აგრესიას დაასწრო და სახელმწიფოებრიობა აღადგინა. გერმანიამაც პირნათლად შეასრულა დამოუკიდებლობის გარანტიის როლი. ცხადია, გერმანიის მხრიდან არვითარ ძალდატანებასა და „მოთხოვნას“ ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერის გამო გერმანიის იმპერიამ გაანაწიენა მისი მოკავშირე ოსმალეთი. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის მწვავე რეაქციაზე.

ასეთია პასუხი კითხვაზე, რომელიც არ უნდა დასმულიყო.